ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტო

GEORGIA
Ajara Autonomous Republic
Legal entity of public law
Forestry Agency of Ajara

შუახევის სატყეო ადმინისტრაცია

Forestry administration of Shuakhevi

დაბა შუახევი ☎ (0424) 26-00-71 დაბა შუახევი

N 13/52
29.04.2025

52-13-2-202504291647

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს

უფროსს ბატონ ჯუმბერ აბულაძეს

ბატონო ჯუმერ,

თქვენი მიმდინარე წლის 24 იანვრის N09/66 კორესპონდენციის პასუხად, რომელიც შეეხებოდა აჭარის სატყეო სააგენტოში შემოსული ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს შუახევის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს 2024 წლის 12 დეკემბრის დადგენილებას (საქმე) 231510024010127978 4-89/24, რომელიც ეხება ხე-ტყის კონფისკაციის ნაწილში შესასრულებლად და სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოზე გადმოცემას, ასევე შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში დასაწყობებული ხე-ტყის მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი მასალებისა და ფოტოსურათების მოწოდებას შემდგომი განკარგვის მიზნით, რომელზედაც მიმდინარე წლის 10 თებერვლის N13/9 შუალედური კორესპოდენციით გეცნობათ, რომ თოვლის საფარის გამო შეუძლებელი იყო ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლა და თოვლის საფარის შრობის პარალელურად როგორც კი შესაძლებელი იქნება დანიშნულების ადგილზე გასვლა მოხდებოდა ხე-ტყის მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი ინფორმაცის მოწოდება, გაცნობებთ, რომ: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის სამმართველოს თანამშრომლების მიერ 2024 წლის 20 ივნისს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში აღმოჩენილი იქნა 07 ცალი წიწვოვანი (სოჭის) ჯიშის მრგვალი I ხარისხის (სამასალე) ხე-ტყე, მოცულობით 6,20 კბმ, რომელზედაც გამოვლენილია ტყის წესების დამრღვევი ქ. ბათუმის დავით მამულაძის ქ. N5-ში მცხოვრები ვეფხვია ბერიძე (პ/ნ 61002017706, დაბ.თარ. 10,09,1979წ) და მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით 2024 წლის 23 სექტემბრის N13/222 კორესპოდენციით გადმოგზავნილია თქვენთან სააგენტოში.

სოჭის სახეობის მრგვალი I ხარისხის (სამასალე) ხე-ტყე, მოცულობით 6,20 კბმ (1. სიგრძე 4 მეტრი წვ. თავ. დიამეტრი 46 სმ, 2. სიგრძე 4 მეტრი წვ. თავ. დიამეტრი 57 სმ, 3. სიგრძე 4 მეტრი წვ. თავ. დიამეტრი 52 სმ, 4. სიგრძე 4 მეტრი წვ. თავ. დიამეტრი 55 სმ, 5. სიგრძე 4 მეტრი წვ. თავ. დიამეტრი 47 სმ, 6. სიგრძე 4

მეტრი წვ. თავ. დიამეტრი 43 სმ, 7. სიგრძე 6 მეტრი წვ. თავ. დიამეტრი 33 სმ.), რომელზედაც გაწერილია ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი N3000116882, ხე-ტყე 2024 წლის 20 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტით დროებითი შენახვის მიზნით ჩაბარებულია შუახევის სატყეო ადმინისტრაციის ჭვანის სატყეოს N3 სამცველოს ტყის მცველ ჯიმშერ ბერიძეზე. ხე-ტყე მოჭრილია ჭვანის სატყეოს N3 სამცველოს კვარტალ N54-ში და განთავსებულია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში. ხე-ტყის დასაწყობების ადგილი საავტომობილო გზიდან დაშორებულია 5 მეტრი მანძილით. ხე-ტყე განთავსებულია ღია ცის ქვეშ, განიცდის გარემო კლიმატური პირობების ზემოქმედებას. ასევე გაწვდით ხე-ტყის მდგომარეობის ამსახველ ფოტომასალას.

დანართი: 3 ფურცელი, 2 ფოტო.

პატივისცემით

რამაზ ტაკიძე

დირექტორი
შუახევის სატყეო ადმინისტრაცია